К 1810/1а

მ. შარაძის თარგმანი, ი. ჩიჩუას გამოცემა

ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თბილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. 21
1894

ამ ბარ ბარცხეზეს

მ. შარაძის თარგმანი, ი. ჩიჩუას გამოცემა.

ცხოვრება

წმ. დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა.

К 1810/10

ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა
Фундаментальная библиотека
Грузинского Общества Наук

ტფილისი.
Типографія М. Шарадзе и К-о, Ник., 21.
1894.

Дозволено цензурою. 25 Апрѣля 1894 года,
г. Тифлисъ.

ცხოვრება

წმ. დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა.

ეკლესიო ისტორიიდგან სჩანს, რომ იესო ქრისტეს შობის პირველ სამასის წლის განმავლობაში რომის სახელმწიფოში დიდად სდევნიდნენ ქრისტიანებს, მაგრამ ყველაზედ საშინელი დევნა და ჟლეტა ქრისტიანებისა იყო სამას სამიდგან სამას ცამეტ წლამდე დიოკლიტიანე მეფის დროს. დიოკლიტიანე პირველად ცხრამეტის წლის განმავლობაში ქრისტიანებს არა სდევნიდა; ქრისტიანები თავისუფლად აღიარებდნენ თავიანთს სარწმუნოებას, აგებდნენ და ამშვენებდნენ ეკლესიებს, მაგრამ სამას სამს

წელს მეფემ, თავისის სიძის გალერის ჩაგონებით, ბრძანება გასცა: „ყველა ეკკლესია დაანგრიეთ, საეკკლესიო წიგნები დასწვით ⁄ იმათ, ვინც ქრისტეს აღიარებს, ეოველივე უფლება და ღირსება ჩამოართვითო“. სწორედ ამ დროს მეფის სასახლეში ცეცხლი გაჩნდა და ცეცხლის გაჩენა მაშინვე ქრისტიანებს დააბრალეს. ამის გამო მეფე განრისხდა და ხელ-ახლად გასცა ბრძანება: „დიდიდგან ჰატარამდე ყველამ ჩვენს ღმერთებს თაყვანი სცეს და ვინც წინააღმდეგობა გაჭბედოს, სტანჯეთ და სიკვდილით დასაჯეთო.“

მალე საჰეროობილეები ქრისტიანებით გაივსო. არავითარს ღონესა და საშუალებას არა ჭზოგავდნენ ქრისტეს მორწმუნეთა დასამორჩილებლად. ასობითა და ათასობით სწვავდნენ, არჩობდნენ, ჯვარზედ აკრავდნენ, წვეტიანის ჩანგლებით ხორცს აგლეჯდნენ და სხვა, მაგრამ ჭეშმარიტის სარწმუნოებითა და ქრისტეს სიყვარულით აღგზნებული ქრისტი-

ანები სიხარულიოა და სიამოვნებით ეგებებო-
დნენ ყოველ გვარს ტანჯვა-წამებას. მარტო
ეგვიპტეში ას ორმოცდა-ოთხი ათასი ქრისტი-
ანი აწამეს. ერთი იმ დროის მწერალთაგანი ლა-
კტანცი სწერს, რომ „ქვის გული და ასი პირი
რომ მქონოდა, მაინც ვერ ავსწერდი იმათს
სხვა-დ-სხვა გვარს ტანჯვა-წამებასაო. მდევნელ-
ნი იქამდე გასასტიქდნენ, რომ ქრისტიანს ჯერ
სტანჯავდნენ ხოლმე, მერე განჰკურნავდნენ
დ შემდეგ უარესს სასჯელს მიაყენებდნენო“.

ნიკომიდიაში ქრისტე-შობა ღამეს მშვე-
ნიერს ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს და შიგ
ოცი ათასამდე მლოცავი ქრისტიანი ამოსწვეს.
ფრიგიაში კიდევ მთელი ქალაქი გადასწვეს
ქრისტიან მცხოვრებლებით დ ექვსი ათას ხუთასი
ქრისტიანი ჯარის-კაცი, რომლის უფროსიც
წმ. მავრიკი იყო, სულ ერთიანად ამოსწყვი-
ტეს.

ესე საშინლად სდევნიდნენ ქრისტიანებს რომში. მხოლოდ გალლიასა, ბრიტანიასა ⸗ ისპანიაში არა სდევნიდნენ ⸗ ესეც იმიტომ, რომ იმ დროს იმათი მმართველი იყო ქრისტიანების დიდი მფარველი კოსტანცი ხლორი. რომი იმ დროს ისეთი ძლიერი სახელმწიფო იყო, რომ მთელი ქვეყანა იმას ემორჩილებოდა. სამას ხუთს წელს დეოკლიტიანემ მეფობას თავი დაანება და მაქსიმიანი გამეფდა. მაქსიმიანიც დეოკლიტიანეს გზას დაადგა და რვა წლის განმავლობაში ქრისტიანებს მოსვენებას არ აძლევდა. წმ. პანტელეიმონიც ამ დროს ეწამა.

წმ. პანტელეიმონი დაიბადა ქ. ნიკომიდიაში. ამავე ქალაქში სცხოვრებდა თვით მაქსიმიანი მეფეც. პანტელეიმონს დედა ქრისტიანი ჰყავდა და მამა კერპთ თაყვანის-მცემელი. დედას ევვულა ერქვა და მამას—ევსტორგი. დედ-მამამ პანტელეიმონს ჯერ პანტელეონი

დაარქვეს, რომელიც ჭნიშნავს ,,ლომი ვაჟ-
კაცობითა და სიმხნით''. მერე, გულ-კეთილო-
ბისა და გულ-მოწყალეობის გამო, სახელი
შეუცვალეს და პანტელეონის მაგიერ პანტე-
ლეიმონი დაარქვეს. პანტელეიმონი-კი ჭნიშნავს
,,ყოველთა მოწყალეს''. დედა პატარაობიდგანვე
უქადაგებდა პანტელეიმონს ქრისტეს სარწმუ-
ნოებას და ეუბნებოდა, კერპებს ნუ იწამებ,
ჭეშმარიტი ღმერთი იწამე, იმას ეცი თაყვანი
და ასიამოვნე შენის კეთილის ქცევითაო.
პანტელეიემონი დედის დარიგებას ხალისით
ეურს უგდებდა და შემლებისადა გვარად გუ-
ლში იმარხავდა. ცოტა ხანს შემდეგ დედაც
გარდაეცვალა და უდედოდ დარჩენილმა პატარა
პანტელეიმონმა მალე შეითვისა მამის ხასიათი.
როცა ცოტა წამოიზარდა, მამამ სასწავლებე-
ლში მისცა. სასწავლებელი რომ გაათავა,
მამამ პანტელეიმონს დიდი ნიჭი შეამჩნია და
გამოჩენილს ექიმს მიაბარა მკურნალობის
შესასწავლად. ნიჭიერმა პანტელეიმონმა ისე

ძალე შეითვისა ყველაფერი, რომ თავის ამხანაგებს გადააჭარბა სწავლითა და ცოდნით. თითქმის თავისს მასწავლებელს ეფროსინესაც-კი ბევრით აღარ ჩამორჩებოდა. ამას გარდა ვანტელეიმონი მეტად მშვიდი, კარგი მოლაპარაკე და მშვენიერის სახის ყმაწვილი იყო. ამის გამო ყველას უყვარდა და პატივსა სცემდნენ. ეფროსინე სასახლის მკურნალი იყო და როცა იქ მიდიოდა, ვანტელეიმონიც ხშირად მიჰყავდა. მეფემ ერთხელ თვალი მოჰკრა ვანტელეიმონს, ძლიერ მოეწონა და ეფროსინეს უბრძანა: ექიმობა კარგად ასწავლე და ჩემს სასახლეში მივიღებო.

ამავე დროს ნიკომიდიაში სცხოვრებდა მოხუცებული მღვდელი ერმოლაოზი. ერმოლაოზი და რამდენიმე სხვა ქრისტიანი უსჯულოთაგან დევნისა გამო ერთს მიფარებულს სახლში იდგნენ. სასახლეში წასვლის ან წამოსვლის დროს ვანტელეიმონს ამ სახლის გვერდით უნდა გაევლო. ერმოლაოზი ჰხედავდა გამვლელ-

გამომვლელს ვანტელეიმონს, შეტყო რა კაცი უნდა გამოსულიყო იგი, ერთხელ წინ დახვდა ბ სახლში მიიწვია. ვანტელეიმონიც სიამოვნებით გაჰყვა. ერმოლაოზმა სახლში გამოჰკითხა ვანტელეიმონს, ვისი შვილი ხარ და რა სარწმუნოებას აღიარებო. ვანტელეიმონმა უპასუხა, ევსტორგის შვილი ვარ, მამა-ჩემი კერპთ თაყვანის-მცემელია, დედა-კი ქრისტიანი მყავდა და მომიკვდა.

— შენ რომელი სარწმუნოება გირჩევნია, ჰკითხა ერმოლაოზმა.

— დედა ჩემი ხშირად მესაუბრებოდა ქრისტეს სარწმუნოების გამო და ძალიანაც შემიყვარდა იგი, მაგრამ მამა ჩემი ძალას მატანს და მეუბნება, ჩემი სარწმუნოება აღიარეო, უპასუხა ვანტელეიმონმა.

— სწავლობ რასმე? და თუ სწავლობ, რასა სწავლობ? ჰკითხა ერმოლაოზმა.

— ექიმობას ვსწავლობ, უპასუხა ვანტელეიმონმა. მასწავლებელი ასკლიპისა, ჰიპოკრატისა და გალლინის სწავლა-მეცნიერებას

მასწავლის და მარწმუნებს, როცა ამას კარგად შეითვისებ, მერე ყოველ გვარს სენს ადვილად განჭკურნავ და შემდეგ სასახლეში გაგამწესებ სამსახურშიო.

— კეთილო ჭაბუკო! უთხრა ერმოლაოზმა, დაიჯერე, რომ არც ერთისა, არც მეორისა ტ არც მესამის სწავლა არ არის საკმაო და ბევრს ვერაფერს შეგძენს; ამასთან არც ის არის ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც მამაშენი და ამდენი ხალხი თაყვანსა სცემს. რასაც ამ ღმერთებზედ ამბობენ, სულ ზღაპარი და მოგონილია. ჭეშმარიტი ღმერთი მხოლოდ ზეციერი ღმერთი იესო ქრისტეა. თუ ქრისტეს იწამებ, იმის სახელის მოწოდებით შეგიძლია ყოველ გვარი ავადმყოფობა განკურნო. ერთი იმისი ბრძანება საკმაოა, რომ შეიმუსროს და მტვრად იქცეს ის ღმერთები, რომელთაც ამდენი ხალხი თაყვანსა სცემს. მარტო იესო ქრისტეს სამოსლის შეხებამ განჭკურნა ერთი დედაკაცი, რომელიც თორმეტის წლის განმავლობაში

სისხლის მდინარეებისაგან იტანჯებოდა და იგვემებოდა. ვინც იმას ირწმუნებს, გულით შეიყვარებს და იმის ნებაზედ გაივლის, იმისთანა ძალას მიიღებს, რომ მთელს ქვეყანას გააკვირვებს და ამასთან საუკუნო ცხოვრებასაც დაიმკვიდრებს.

ჰანტელეიმონი მოწიწებით უგდებდა ყურს ერმოლაოზს და ბოლოს უთხრა, დედა ჩემიც სწორედ მაგას მიქადაგებდაო. ამას შემდეგ ჰანტელეიმონი ერმოლაოზთან ყოველ დღე დადიოდა, იმის ქადაგებას ყურს უგდებდა და დღითი დღე ქრისტეს სარწმუნოებაში მტკიცდებოდა. ისე შეუყვარდა ერმოლაოზი და იმისი ტკბილი ქადაგება, რომ სასახლეში წასვლისა, ან წამოსვლისას ყოველთვის იმასთან შეივლიდა ხოლმე.

ერთხელ ჰანტელეიმონი თავისის მასწავლებლისაგან სახლში მოდიოდა ⁄ გზაში შხამიანის გველისაგან დაკბენილი მკვდა-

რი ბავშვი ნახა. გველიც იქვე დასრიალებდა. პან-
ტელეიმონს შეეშინდა ⁄ უკანვე გამოიქცა, მაგრამ
ისევ მალე შეჩერდა. იფიქრა, აი ეხლაა დრო
შევიტყო, თუ რამდენად მართალია ერმოლაოზის
ნათქვამი სიტყვებიო. მიჭმართა ზეცას და
წარმოსთქვა: უფალო იესო ქრისტე, თუმცა
ღირსი არა ვარ, მაგრამ თუ გნებავს, რომ
შენი მონა ვიყო, ჭქმენ სასწაული, ეს ბავშვი
გაცოცხლე ⁄ გველი მოჭკალიო. ბავშვი
მაშინვე წამოდგა, გველი ორად განიკვეთა და
სული გაანთხია. პანტელეიმონი მთლად სიხა-
რულად გარდაიქცა, ერმოლაოზთან გაეშურა
და ყოველივე უამბო. გახარებულმა ერმოლაო-
ზმა წაიყვანა პანტელეიმონი და თავის თვალით
ნახა ის ადგილიცა, ორად გაკვეთილი გველიც
და ღმერთს მადლობა შესწირა. შემდეგ პან-
ტელეიმონი სახლში წაიყვანა და მონათლა.
აქვე წირვა გადაიხადა და აზიარა. პანტელე-
იმონი იქ ერთს კვირას დარჩა, ცივს წყარო-
სავით ეწაფებოდა ერმოლაოზის ქადაგებას, და

შემდეგ სახლში დაბრუნდა. როცა სახლში მოვიდა, მამამ ჰკითხა:

— შვილო, სად იყავი აქამდე? ასე მეგონა რამე უბედურება შეგემთხვა.

— სასახლეში ვიყავი ჩემს მასწავლებელთანაო, უპასუხა ჰანტელეიმონმა. ავადმყოფი იყო მოსარჩენი და სანამ არ მორჩა, არ გამოგვიშვეს.

ჰანტელეიმონმა ყოველივე ეს იგავით უთხრა: მასწავლებლად ერმოლაოზი იგულისხმებოდა, სასახლედ იმისივე სახლი, საცა ერმოლაოზმა წირვა გადაიხადა, ხოლო ავადმყოფად ჰანტელეიმონი თავის თავსა სთვლიდა, ვიდრე მოინათლებოდა. ექიმობაც ის იყო, რომ ჰანტელეიმონი ერმოლაოზისაგან სწავლა-მოძღვრებას ისმენდა. ასე შორიდამ მამას იმიტომ უთხრა, რადგან ჯერ დრო არ იყო, რომ იმისათვის გული გადაეშალა და ყოველივე დაუფარავად ეამბნა.

ამის შემდეგ ჰანტელეიმონი გარეგნად

წინანდებურად იქცეოდა, გული-კი ქრისტეს სიყვარულით ეღგზნებოდა. ამასთან ძალიან სწუხდა თავის მამის ურწმუნოებისა გამო და სულ იმასა ფიქრობდა, როგორ მოვაქციო ⁄ ვაწამო ჭეშმარიტი ღმერთიო.

ანტელეიმონმა ჯერ შორიდგან დაიწყო საქმე. მამას ყოველ დღე ეკითხებოდა იმათ ღმერთების შესახებ და აი ერთხელ რა ჰკითხა:

— მამა, მითხარ, ეს როგორ არის ჩვენი ღმერთების საქმე, რომ რომელიც ჭზის, ვერა-სოდეს ფეხზედ ვერ ადგება ⁄ რომელიცა სდგას, ვერ დაჯდება?

— რა ვიცი, შვილო, უპასუხა მამამ. ჩემ-თვის ეგ სრულიად გაუგებარია და არ ვიცი რა გიპასუხო.

ამისთანა კითხვებით ანტელეიმონმა მამას სარწმუნოება შეურყია და კერპ ღმერთებზედ გული აცრუებინა. ანტელეიმონს უხაროდა და გულში ამბობდა, ღმერთმა მოძხედა და ჩემი გულის წადილი შემისრულაო. ანტელე-

იმონმა მოიწადინა მამის სახლში ამართულის კერპების შემუსვრა, მაგრამ იფიქრა, იქნება ეჯავროს და უარესი ჰქმნასო. არჩია ისევ სხვა ნაირად მოეგვარებინა საქმე.

ერთხელ ჰანტელეიმონთან ბრმა მიეიდა და დიდის ხვეწნით სთხოვა, როგორმე თვალები მომირჩინეო. საცხოვრებელი გადავალიე ამის ექიმობას და არა მეშველა-რა. წინად კიდევ ვხედავდი ცოტაოდენს, წამლობის შემდეგ-კი სულ დავბრმავდიო.

— რას მომცემ, რომ მოგარჩინო? ჰკითხა ჰანტელეიმონმა.

— სულ შენ მოგართმევ, რაც-კი გამაჩნია, უპასუხა ბრმამ.

— მე შენი არა მინდა-რა, უთხრა ჰანტელეიმონმა. რასაც მე მჰირდები, ის გლახებს მიეცი, მე-კი ცისა და ქვეყნის გამჩენს ღმერთს ვსთხოვ, რომ მალე აღგეხილოს თვალები.

ჰანტელეიმონის მამამ ეს სიტყვები გაიგონა და უთხრა:

— შვილო, მაგ ავადმყოფს ხელს ნუ ჰკიდებ, თორემ ტყუილად სირცხვილსა სჭამ. შენზედ გამოცდილმა ექიმებმა ვერა გააწყვეს-რა და შენ რას გაარიგებო.

— არც ერთმა არ იცის ის, რა წამალიც მე ვიცი, იმიტომ-რომ ჩემი მასწავლებელი სულ სხვაა და იმათი სხვა, უპასუხა ჰანტელეიმონმა.

მამას ეგონა ეფროსინესას აძბობსო და უთხრა:

— როგორც გავიგე, თვით შენს მასწავლებელს ეფროსინესაც უექიმნია მაგ კაცისათვის.

— ცოტა დამაცადე, მამავ, და ეხლავე გაჩვენებ ჩემის წამლის ძალას, უთხრა მამას ჰანტელეიმონმა, მივიდა ბრმასთან, თვალებზედ ხელი დაადო და სთქვა:

— იესო ქრისტეს სახელით, რომელიც განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, აგეხილოს თვალები.

— იმ წამსვე ბრმას თვალები აეხილა

და იმანაც და ვანტელეიმონის მამამაც ქრისტე იწამეს და მოინათლნენ. მამამ ვანტელეიმონის დახმარებით თავის სახლში ამართული კერპები დაამსხვრია, ჯურღმულში ჩაჭყარა და ზედ მიწა დააყრევინა.

ესტორგი გარდაიცვალა, ვანტელეიმონმა ყმები განათავისუფლა და მამისაგან დატოვებული ქონება ზოგი იმათ აჩუქა და ზოგიც გლახებს დაურიგა. ვანტელეიმონი თითონ დადიოდა გაჭირვებულსა და ავადმყოფ ხალხთან, გაჭირვებულს ფულით ეწეოდა და ავადმყოფს ხან წამალით და ხან სასწაულით ჰკურნებდა. ვანტელეიმონის ამბავი რომ გაიგეს, დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა, ზოგი ფულსა სთხოვდა და ზოგი განკურნებას. ექიმებმა შური აიღეს, რომ ყველა ავადმყოფი ვანტელეიმონთან მიდის, ჩვენ-კი ცალიერი ვრჩებითო, და მოიწადინეს იმისი დაღუპვა.

ერთხელ ვანტელეიმონისაგან მორჩენილი

ბრმა ქალაქში დადიოდა; ექიმებმა იცნეს მა-
თი ნაექიმევი კაცი, დაუძახეს და ჰკითხეს,
თვალი ვინ მოგირჩინაო. «ჰანტელეიმონმაო»,
უპასუხა თვალ-ახელილმა. ექიმებმა განგებ და
ფარისევლურად წარმოსთქვეს: «აი, დიდებუ-
ლი მოწაფე დიდებულის მასწავლებლისაო!» და
გულში საშინელი შური აღეძრათ. ამ დღის
შემდეგ ექიმებმა ჰანტელეიმონს თვალ-ყურის
დევნა დაუწყეს, უნდოდათ რამე მიზეზი ეპო-
ვნათ და მთავრობასთან დაესმინათ. რად-
გან ჰანტელეიმონი საპყრობილეში დადიოდა,
ქრისტიანებს ეწეოდა და ნუგეშს აძლევდა,
ექიმებმა მიზეზად ეს მოიდეს და ჰანტელეი-
მონი მეფესთან დაასმინეს.

— მეფეო, უთხრეს: ის ჯაბუკი, რომე-
ლიც შენ გამოზარდე და რომლისათვისაც იმ-
დენი ზრუნვა გასწიე, დადის ჩვენის ღმერთე-
ბის მგმობელ ქრისტიანებთან, წამალს აძ-
ლევს და არჩენს. ამას გარდა ბევრი ხალხი
მოუქცევია და გადაუბირებია. თუ დროზედ

არ დასაჯე ამისთანა მოქმედებისათვის, მეელს სახელმწიფოს დიდს განსაცდელში ჩააგდებს. ვითომ რალასაც სასწაულთ-ქმოქმედებს ამ ბობს, იესო ქრისტეს ძალით ვმოქმედობრ. თუ ჩვენ არ დაგვიჯერებთ, პანტელეიმონის მორჩენილი ბრმა მოაყვანინეთ და იმასა ჰკითხეთ.

მეფემ დაიბარა პანტელეიმონისაგან თვალ-ახელილი კაცი და ჰკითხა:

— პანტელეიმონმა თვალი როგორ მოგირჩინა?

— თვალებზედ ხელი დამადო, იესო ქრისტეს სახელი ახსენა და მაშინვე ამეხილა, უპასუხა თვალ-ახელილმა.

— მერე, როგორ გგონია, ვისის ძალით აგეხილა თვალები?

— აი ექიმებიც ხომ აქ არიან. მთელი ჩემი ქონება მაგათ გადავალიე და იმის მაგიერ, რომ ეშველნათ რამე, მთლად დამაბრმავეს. ჩვენს ღმერთებსაც ბევრი ვეხვეწე, მაგრამ იმათგანაც არა გამოვიდა-რა. პანტე-

ლეიმონმა-კი თვალებზედ ხელი დამადო, იესო ქრისტეს სახელი ახსენა და მაშინვე ამეხილა.

— ნუ სულელობ და იესო ქრისტეს სახელს აქ ნუ ახსენებ. იესო ქრისტეს-კი არა, ჩვენს ღმერთებს აუხელია შენთვის თვალები.

— მე-კი არა, შენ სულელობო, უპასუხა თვალ-ახელილმა. თქვენი ღმერთები თითონ ბრმანი არიან და მე თვალებს როგორ ამი-ხელდნენ; შენც ბრმა ხარ, რომ ისინი ღმერთად მიგაჩნია და თაყვანსა სცემ.

— ეხლავე თავი მოჭკვეთეთ!.. შესძახა განრისხებულმა მეფემ და მართლის აღმსარებელს კაცს მაშინვე ტანიდგან თავი განაშორეს.

ეფემ პანტელეიმონის მოყვანაც ბრძანა. პანტელეიმონი მიიყვანეს და როცა მიჭ-ეავდათ, გზაში დავითის ფსალმუნს ჭგალობდა. მეფემ ჯერ ტკბილად უთხრა:

— პანტელეიმონ, შენ შესახებ ცუდი ამ-ბები გავიგონე და არ ვიცი რამდენად მართა-

ლია. ამბობენ, ვითომ ჩვენს ღმერთებს უარ-
ყოფ ⁄ ვიღაც ჯვარზედ გაკრულს იესო ქრის-
ტეს აღიარებ ღმერთად. ხომ იცი, თაობიდგან-
ვე რა სიკეთეც მინდოდა შენთვის, საუკეთე-
სო მკურნალს მიგაბარე, რომ ექიმობა გეს-
წავლა და მერე ჩემს სასახლეში გამემწესები-
ნე. ეხლა ჩემი სიკეთე თითქო დაგვიწყებია
და გამოსდგომიხარ რაღაც ცრუსა და მავნე-
ბელს სარწმუნოებას. მე მაინც-და-მაინც არა
მჯერა, რასაც ამბობენ, არა მჯერა იმიტომ,
რომ ხალხის ნათქვამს ყველაფერში არ უნდა
დაენდოს კაცი. აი ამისთვის, ცილის მწამე-
ბელთა შესარცხვენად და სამხილებლად, ეხ-
ლავე თაყვანი ეცი ჩვენს ღმერთებს, მსხვერპლი
შესწირე და ამითი შენი სიმართლე დაამტკიცე.

— სულ მართალია, რაც უთქვამთ, უპა-
სუხა პანტელეიმონმა. მე თქვენის ღმერთები-
სა არა მრწამს-რა. მრწამს მხოლოდ უფალი
იესო ქრისტე და თაყვანსა ვსცემ კი-
დეც. თვით იმისსავე საქმისაგან ვსცანი, რომ

იგია ჭეშმარიტი ღმერთი. იმის გაჩენილია ცა ⁄ დედამიწა, იმან მკვდარნი განაცოცხლა, ბრმებს თვალი აუხილა, ერთის სიტყვის თქმით განრღვეული აღადგინა. თქვენს ღმერთებს-კი არც ერთხელ არ გამოუჩენიათ არაფითარი სასწაული და ან-კი რას გამოიჩენდენ, რაც არ შეუძლიანთ. თუ იესო ქრისტეს ძალა გინდათ შეიტყოთ, მოაყვანინეთ იმისთანა ავადმყოფი, რომლის მორჩენაზედაც ექიმებს უარი უთქვამთ, დაიბარეთ თქვენი ქურუმებიც (კერპთ-მოძღვარნი). ქურუმებმა თავიანთ ღმერთს სთხოვონ ავადმყოფის მორჩენა და მე ჩემსას. რომლის ძალამაც გასჭრას, ყველამ ის ვიწამოთ ღმერთად.

ეფეს მოეწონა რჩევა, მოაყვანინა ქურუმებიცა და ავადმყოფიც. ქურუმებმა ჰანტელეიმონს უთხრეს:

— ჯერ შენ სცადე ავადმყოფის მორჩენა და მერე ჩვენ.

— არა, უთხრა ჰანტელეიმონმა: თუ ჰირვე-

ლად მე მოვარჩინე ავადმყოფი, მერე თქვენ ვინღა უნდა მოარჩინოთ. ჯერ თქვენ სცადეთ და თუ თქვენმა ლოცვამ გასჭრა და ავადმყოფი მორჩა, მაშინ ჩემის ღმერთის მოწოდება რაღა საჭირო იქმნება.

ქურუმები დასთანხმდნენ, ბევრს ეხვეწნენ და ელაღადნენ თავიანთს ღმერთებს. ჰანტელეიმონი რომ ჭხედავდა იმათს უქმსა და უნაყოფო ღაღადებას, ჰირზედ ღიმილი მოსდიოდა. მეფემ შეამჩნია ეს ღიმილი და უთხრა, აბა ეხლა შენა სცადე, თუ რამ შეგიძლიაო. ჰანტელეიმონი მივიდა ავადმყოფთან, ჯერ საბოებია და სიყვარულით ილოცა და მერე ავადმყოფს უთხრა:

— სახელითა იესო ქრისტესითა განიკურნე და ქვეშსაგებიდამ წამოდეგი.

ავადმყოფი მსწრაფლ განიკურნა, ლოგინიდგან წამოდგა, ჰანტელეიმონს მადლობა გადაუხადა, თავისი ქვეშსაგები მოიკიდა და სიხარულით გასწია სახლისაკენ.

ამ ძალმა ხალხმა იწამა ქრისტე. ქურუმები-კი ბრაზისაგან კბილებს იღრჭენდნენ და აღარ იცოდნენ რა ექნათ. ბოლოს მეფეს უთხრეს:

—თუ პანტელეიმონი ცოცხალი დარჩა, ხალხი ჩვენს ღმერთებს სულ დაივიწყებს, ყველა მაგას მიემხრობა, ქრისტიანები სასაცილოდ აგვიღებენ, გაგვიბატონდებიან, ისინი დაწინაურდებიან და ჩვენი-კი ყველაფერი დაითრგუნება და დაიჩაგრება. სჯობს, ნუღარ დაახანებ და ეხლავე მოაკვლევინე.

—პანტელეიმონ! უთხრა მეფემ: მე შენი სიკეთე მსურს, ამისათვის ჩემი დაიჯერე და ჩვენს ღმერთებს მსხვერპლი შესწირე. ხომ იცი, რამდენი დამიხოცია ჩვენის ღმერთების წინააღმდეგნი. იქმნება შენ არცა-კი გაგიგონია, თუ რა საშინელის ტანჯვით მოკლულ იქმნა მოხუცებული ანთიმოზი ასეთის ურჩობისათვის.

—მეფევ! ვერც შიში და ვერც მოფერე-

ბა ჩემს გულს ვერ შესცვლის, იმიტომ რომ მე ოითონვე მწყურიან იესო ქრისტესთვის სიკვდილი. ან რა უნდა იყოს შიში და მოფერება იმისთვის, ვისაც იესო ქრისტე უყვარს და იმის გულისთვის სიკვდილი ნეტარებად მიაჩნია. ანთიმოზი მოხუცებული და სუსტი იყო და მაინც გაუძლო დიდს ტანჯვას, მე ხომ ახალგაზდა ვარ და უფრო ადვილადაც გავუძლებ. ან ქრისტესთვის სიკვდილი განა სიკვდილია, სიკვდილი კიარა, ნამდვილი სიცოცხლეა.

მეფემ იმედი გადაიწყვიტა და ბრძანა, ჰანტელეიმონი ხეზედ გააკარით, წვეტიანის რკინის ჩანგლებით ხორცი დააგლიჯეთ, გვერდებში სანთელი შეუკიდეთ და ისე აწამეთო. მაგრამ ხეზე გაკრულმა ჰანტელეიმონმა მხურვალედ ილოცა და ღმერთს ტანჯვის შემსუბუქება სთხოვა. მაშინვე წარმოუდგა ერმოლაოზის სახით იესო ქრისტე და უთხრა: «ჰანტელეიმონ, ნუ გეშინინ, რამეთუ მე შენთან ვარ».

ანთებული სანთლები გაჭრა, მტანჯველები მოდუნდნენ, მკვდარს დაემგზავსნენ და ხელიდგან იარაღი დასცვივდათ. მეფემ ჰანტელეიმონი ხიდამ მოახსნევინა და ჰკითხა:

— მითხარი, რა ძალაა ეგ შენი ძალა?

— ჩემი ძალა იესო ქრისტეა.

— უფრო მეტი ტანჯვა რომ მოგაყენო, მაშინ რას იზამ?

— ეგივე ქრისტე იქნება ჩემი შემწე. ეგი დიდს ტანჯვასთან დიდს მოთმინებას მომცემს ⁄ დიდის მოთმინებისათვის-კი დიდს ჯილდოს.

— ქვაბში კალა ადუღეთ და ჰანტელეიმონი შიგ ჩააგდეთო, ბრძანა მეფემ.

ჰანტელეიმონმა კიდევ ილოცა სასოებითა და სიყვარულით და ისევ გამოეცხადა უფალი ერმოლაოზის სახით, ხელი მოჭიდა და ადუღებულს ქვაბში ჩაიყვანა. ქვაბს ქვემ ცეცხლი გაჭრა და ადუღებული კალაც იმ წამსვე გაცივდა. მაყურებელი ხალხი გაოცდა. მარტო მეფე არაფრად აგდებდა ამ ამბავს და

კიდევ იმას ჰფიქრობდა, რა სასჯელი მოვიგონო ისეთი, რომ ჰანტელეიმონს გული შევუცვალოო.

თავის კარის-კაცებს დაეკითხა: მირჩიეთ, ჰანტელიმონს რა მოუხერხოო. იმათ ურჩიეს, ზღვაში ჩააგდებინე და დაირჩობაო.

ჰანტელეიმონი ჩასვეს ნავში, ზღვაში შეაცურეს, ყელში დიდი ქვა გამოაბეს და ნავიდგან გადააგდეს. ქვამ ნავის მაგიერობა გაუწია ჰანტელეიმონს და ამ ქვისავე საშუალებით ზღვის ნაპირას გამოვიდა.

— საკვირველია, რომ ზღვაცა-კი შენ გემორჩილება, უთხრა მეფემ.

— მე-კი არა, თავისს გამჩენს ემორჩილებაო, მიუგო ჰანტელეიმონმა.

— წაიყვანეთ ჰანტელეიმონი და ნადირს მიუგდეთ, ბრძანა მეფემ.

მეფე და მთელი ხალხი შეიკრიბა დანიშნულს ალაგას. ჰანტელეიმონიც მიიყვანეს.

— აი ეს მხეცები შენთვის არის დამზადებული, უთხრა ვანტელეიმონს მეფემ. თუ ცოტაოდენი ჭკუა შეგრჩენია და სიცოცხლეს რადმე აფასებ, ნულარა ურჩობ.

— აქამდე არ დაგიჯერე და ეხლა, როცა ღმერთმა ამდენი სასწაული მაჩვენა, როგორღა დაგიჯერებ? უპასუხა ვანტელეიმონმა.

მსახურებმა ვანტელეიმონს ხელი ჭკრეს და შეაგდეს იმ ალაგას, სადაც დამშეული მხეცები უნდა გამოეშვათ, მხეცებიც გამოუშვეს. ეველა გულის ფანცქალით მოელოდა ვანტელეიმონის ლუკმა-ლუკმად ქცევას, მაგრამ მოლოდინი მოულოდნელობად შეიცვალა. მხეცები მოწიწებითა ⁄ მორიდებით მივიდნენ ვანტელეიმონთან და ლაქუცი და ფეხის ლოკვა დაუწყეს.

— დიდ არს ქრისტიანეთა ღმერთიო! დაიგრიალა ხალხმა. გაუშვით და ნუ სტანჯავთ მაგ უდანაშაულო ჭაბუკსაო!

მეფე გაცეცხლდა, მთლად ბრაზად გადაიქცა ⁄ ჯარს უბრძანა:

— ეგ მხეცებიც და ისინიც დახოცეთ, ვინც ქრისტეს სახელს აღიარებსო.

— დიდება შენდა ქრისტე, რომ მხეცებიც-კი ეწამენ შენის გულისათვისაო! წარმოსთქვა ჰანტელეიმონმა.

იმედ-გაცრუებულმა და გაბორროტებულმა მეფემ ბრძანა: ჰანტელეიმონი საჰერობილეში დააძწყვდიეთ და დახოცილი მხეცები ძაღლებს მიუყარეთო. მაგრამ ღმერთმა აქაც გამოიჩინა თავისი ძალა. ძაღლები სიახლოვესაც ვერ მიეკარნენ მხეცებს. ეს ამბავი მეფეს აცნობეს და ბრძანა მხეცები მიწაში დაჭფალითო.

— რა მოუხერხო, რომ ამდენი ხალხი გადაიბირა ჰანტელეიმონმა? ჰკითხა მეფემ კარის-კაცებს.

იმათ ურჩიეს:

— გააკეთებინე ისეთი თვლები, რომ გარშემო მჭრელი ჰირი და ბასრი მახვილები ჰქონდეს, ეს თვლები მაღალს ალაგას აატანინე, ჰანტელეიმონი ზედ დააკრევინე და ძირს დააგორებინე.

ააკეთეს თვლები და გორაზედ აატა-ნინეს. აუარებელი ხალხი შეიკრიბა საყურებლად. ჰანტელეიმონიც მოიყვანეს, ამ თვლებზედ გადააკრეს და თვლები ძირს დააგორეს, მაგრამ ჰანტელეიმონი გორა-ზევე დარჩა უვნებელი, თვლები-კი წამოვი-და გორა-გორით ძირისაკენ, დაეჯახა მაყუ-რებელს ხალხს და ბევრი ამოჟლიტა.

— ვინ გასწავლა ჰანტელეიმონ ეს გრძნე-ულება? ჰკითხა მეფემ.

— გრძნეულება-კი არა, იესო ქრისტე მწამს და იმის ძალით ვმოქმედებ, უპასუხა ჰან-ტელეიმონმა.

— იესო ქრისტეს სარწმუნოება ვინლა გასწავლა?

— ერმოლაოზმა.

— ერმოლაოზი ვინ არის და სად არის?

ჰანტელეიმონმა იფიქრა, იქნება ერმოლაო-ზის სიტყვამ გასჭრას მეფეზედაო და უთხრა: თუ გსურს ერმოლაოზს აქ მოგიყვანო.

ვანტელეიმონს ორი მხედარი გააყოლეს ბ
როცა მივიდნენ, ერმოლაოზმა ჰკითხა ვანტე-
ლეიმონს:

— შვილო, რისთვის მოხვედით ჩემთან?

— მეფე გიბარებსო, უთხრა ვანტელეი-
მონმა.

— კარგის საქმისთვისაც მოსულხარ შვი-
ლო, უთხრა ერმოლაოზმა. წუხელ გამომეცხა-
და უფალი და მითხრა, შენც ვანტელეიმონ-
საკით უნდა ეწამოვო.

ერმოლაოზმა თავისი ორი მოწაფე წაი-
ყვანა და სიხარულით გაჰყვა მეფეს-
თან. როცა მივიდნენ, მეფემ ვირვე-
ლად სახელი ჰკითხა. ერმოლაოზმა თავისი
სახელიც უთხრა და თან დასძინა, რომ ქრის-
ტიანი ვარო.

— კიდევ თუ ვინმე გყავს შენის სარ-
წმუნოებისა? ჰკითხა მეფემ.

— ორი მოწაფე მახლავს, ერმიპა და
ერმოკრატი, უპასუხა ერმოლაოზმა.

მეფემ მოაყვანინა ისინიც, სამივე ერთად დააყენა და ჰკითხა.

— თქვენ გადაიბირეთ ჰანტელეიმონი და ჩვენს ღმერთებზედ უარი ათქმევინეთ?

— ჩვენ-კი არა, თვით უფალმა ინება ასრე, უპასუხეს იმათ. იგი უჩვენოდაც გამოიყვანს კაცს სიბნელისაგან და ჭეშმარიტების გზაზედ დააყენებს.

— მაგ გვარის ლაპარაკით ტყუილად თავს ნუ მაბეზრებთ, უთხრა მეფემ. უკეთესია ჰანტელეიმონს ურჩიოთ, რომ ჩვენს ღმერთებს თაყვანი სცეს. მაშინ თქვენცა და იმასაც დანაშაულს გაპატიებთ და ჩემს სახელმწიფოში უმაღლესს ადგილს მოგცემთ.

— ჩვენ მაგ გვარს რჩევას ვერ მივიღებთ, იმიტომ რომ ჩვენიცა და ჰანტელეიმონის სურვილიც მხოლოდ ის არის, რომ ქრისტეს გულისათვის ვიწამოთ.

ერმოლაოზმა ბ იმისმა მოწაფეებმა ილოცეს, მსწრაფლ იმრა მიწა და იქაურობა შეირყა.

—აიო, წამოიძახა მეფემ: ხომ ჭხედავთ, როგორ განრისხდნენ ჩვენი ღმერთები, მიწაცკი იძრა.

—მართალს ამბობ, უთხრეს იმათ: მიწა იმიტომ იძრა, რომ თქვენი ღმერთები ძირს ჩამოცვივნულიყვნენ და დამსხვრეულიყვნენ.

იმ წამსვე მეფეს ამბავი მოუტანეს, რომ ჩვენი ღმერთები ძირს ჩამოცვივდნენ და მტვრად იქცნენო. მეფე განრისხდა და სთქვა, თუ ეს გრძნეულები არ მოვაკვლევინე, მთელს სახელმწიფოს დამიღუპავენო. ჰანტელეიმონი საჰერობილეში გაჭგზავნა და ერმოლაოზს და იმის ორს მოწაფეს-კი თავები მოაკვეთინა. მეფემ ხელ-ახლად მოაყვანინა ჰანტელეიმონი და უთხრა:

—ჰანტელეიმონ, არ იფიქრო, ცოცხალი გადამირჩე. რამდენი ქრისტიანი შემიშინებია, უარი მითქმევინებია და მომიქცევია ქრისტიანობისაგან. მარტო შენ გამიხდი ურჩი. შენმა მასწავლებელმა ერმოლაოზმა და იმის-

მა ორმა მოწაფემაცკი უარ-ყვეს ქრისტე და ჩემს ბრძანებას დაემორჩილნენ. ამისთვისაც ისინი დავაჯილდოვე და სასახლეში მივიღე. შენც იმათსავით მოიქეცი და იმათსავითვე დაგაჯილდოვებ. იცოდე, რამდენადაც სასტიკი ვარ ჩემის ურჩისა, იმდენადვე მოწყალე ვარ ჩემის მორჩილისა.

ვანტელეიმონი მიხვდა, რომ მეფე მატყუებსო, და სთხოვა, მაჩვენე ისინიო.

— სხვა ქალაქში გავგზავნე მეტის სიმდიდრის მისაღებადაო.

— მართალს ამბობ, უპასუხა ვანტელეიმონმა: შენ იგინი მოაკვლევინე და გაისტუმრე იქ, საცა მართლა ნამდვილი და დაუშრეტელი სიმდიდრეა.

ეფემ სრულიად იმედი გადაიწყვიტა ვანტელეიმონის გადმობირებისა ტ ბრძანა, ჯერ ბევრი სცემეთ, მერე თავი მოჭკვეთეთ და ცეცხლში დასწვითო.

ჰანტელეიმონი გაიყვანეს ქალაქს გარედ და ზეთის ხილის ხეზედ მიაკრეს. ჰანტელეიმონმა აქაც მხურვალედ ილოცა. მეხმლემ ხმალი შემოჰკრა, მაგრამ ხმალი გადიზნიქა და ჰანტელეიმონი უვნებელი დარჩა. მეხმლენი შეშინდნენ, ჰანტელეიმონს ფეხთ ქვეშ ჩაუვარდნენ და ჰატიება სთხოვეს.

— ჰანტელეიმონ! ხმა იყო ზეცით: მოვედ შენთვის განმზადებულს სასუფეველში. მომინიჭებია შენთვის მადლი; ვინც სასოებითა და სიყვარულით მოგმართოს, დიდი ნუგეში მიეცეს ყოველსა ჭირსა და განსაცდელში.

ჰანტელეიმონი განუსაზღვრელის სიხარულით ალივსო და მეხმლეთ სთხოვა, თავი მომკვეთეთო, მაგრამ იმათ უარი უთხრეს. ჰანტელეიმონმა განუმეორა, მეფის ბრძანებას ნუ გადახვალთ და თავი მომკვეთეთ, თორემ უფლისაგან ვერაფერს ჯილდოს ვერ მიიღებთო. მეხმლენი დიდის სიყვარულითა და მოწიწებით ეამბორნენ ჰანტელეიმონს და შემდეგ თავი

მოჰკვეთეს. იმ ხემ, რომელზედაც პანტელეიმონი იყო გაკრული, მრავლად ნაყოფი მოისხა. იქ დამსწრე ხალხმა იწამა და აღიარა ქრისტე. მეფემ ის ხეც მოაჭრევინა და ჰბრძანა, პანტელეიმონთან ერთად დასწვითო, მაგრამ პანტელეიმონის წმ. გვამს ცეცხლი ვერ მიეკარა და ქრისტეს მორწმუნეებმა მიწას მიაბარეს.

პანტელეიმონის ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებდნენ ლავრენტი, ვასსი Ⱃ პროვი, და რაც ნახეს, ყოველივე ასწერეს. წმ. პანტელეიმონი ასვენია ათონს, იმისსავე სახელობაზედ აშენებულს ეკკლესიაში. ნაწილი მისის წმ. გვამისა ბევრს სხვა ეკკლესიაშიაც არის დაკრძალული. იგი ეხლაც ბევრს სასწაულს იქმს და დიდი შემწე და ნუგეშია იმისი, ვინც სასოებითა და სიყვარულით მიჰმართავს.

ბ/ 338/35

ფასი 5 კაპ.